

ქართულური
მემკვიდრეობა



KARTVELIAN
HERITAGE

V



2001

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის
დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

**DIALECTOLOGY RESEARCH INSTITUTE OF KUTAISI AKAKI
TSERETELI STATE UNIVERSITY**

ქართულური მემკვიდრეობა

V

**ემკვება ქრისტიანობის 2000 წლისთავს
Dedicated to the 2000th anniversary of Christianity**



ქუთაისი
2001
KUTAISI

81.2 ბრ
809.463.1-800.87
ქ.279

ქართველურ მემკვიდრეობაში ქვეყნდება ქსუ დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული ყოველწლიური სიმპოზიუმის (ქუთაისური საუბრები) მასალები და დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მომძიებელთა ჯგუფების მიერ მომზადებული კომპლექსური (ლინგვისტური, ეთნოლოგიური, ფოლკლორული და სხვ.) ხასიათის ტექსტები სამეცნიერო აპარატურითურთ. V ტომში ქვეყნდება 2000 წლის 3-5 მაისის ქუთაისურ საუბრებზე(VII) წაკითხული მოხსენებები(სიმპოზიუმის ძირითადი თემა: ღვთისმსახურება — ენობრივი და კულტურული ასპექტები) და ოკრიბის, სვანეთისა და სამეგრელოს მომძიებელთა ჯგუფების მიერ მოპოვებული მასალა.

რედაქტორი ტარიელ ფუტყარაძე

სარედაქციო საბჭო:
იოსებ ასათიანი, როლანდ თოფჩიშვილი, ომარ ლანჩავა,
ავთანდილ ნიკოლეიშვილი, მარინე ჭაცარავა, მიხეილ
ქურდიანი, რევაზ შეროზია

რედაქციის მისამართი: 384000 ქ.ქუთაისი, თამარ მეფის 59,
ქსუ დიალექტოლოგიის ინსტიტუტი, ტელ: 4-28-83
ელ.ფოსტა: Putkaradze@sanetk.net.ge

Kartvelian Heritage contains materials of the annual symposium (**Kutaisi Discussions**) organized by the Kutaisi Dialectology Research Institute. The present issue has articles of the **Kutaisi Discussions-VII** (The main theme of symposium: theology - linguistic and cultural aspects), of May 3-5, 2000, based on the data collected by the academic staff of the Institute and on papers of leading Kartvelologists in Georgia and abroad. Texts of the collection are of complex (linguistic, ethnologic, folkloristic etc.) nature.

EDITOR

Tariel Putkaradze

EDITORIAL BOARD:

**Ioseb Asatiani, Roland Topchishvili, Omar Lanchava,
Avtandil Nikoleishvili, Marine Kadzarava, Mikheil Kurdiani,
Revaz Sherozia**

Address of the Editorial Office: 59, Tamar Mepe str., Kutaisi.

© Kutaisi State University Press



ნინო ავაქიანი

„ღვინის სახლი“ - მარანი და მასთან დაკავშირებული მითოლოგიური კომპლექსი ქართულ ტრადიციაში

ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში, როგორც მისი გავრცელების ისტორიიდანაა ცნობილი, ტაძრული და სინაგოგური ტრადიციის გვერდზე, ქრისტიანული თემის ფარგლებში საფუძველი ეყრება „პურის განტეხვის“ წესს სახლში, რომლის ცენტრში ქრისტეს ნათლით მოსილი კულტი ექცევა. შესაბამისად, პირველქრისტიანთა ღვთისმსახურება ერთხანს ორი სახით წარმოიდგინება: ერთი მხრივ, ისინი მონაწილეობენ იუდეურ ძველადქმისეულ ღვთისმსახურებაში ტაძარში, ხოლო, მეორე მხრივ, ამას ემატება სახლის მსახურება (საქმე 2, 46-47). აქ დამახასიათებელია დაპირისპირება ტაძრის (ანუ იუდეური რიტუალის შესრულების ადგილისა) სახლებთან, რომლებშიც ქრისტიანული პურის განტეხვა სრულდებოდა, რაც, თავის მხრივ, სრულიად მიუღებელი იყო იუდეველთათვის (შდრ. დაპირისპირება ტაძარი/სახლი; ისინი/ჩვენ, შესაბამისად).

სახლის მსახურების ადრექრისტიანული პრაქტიკის დადასტურებას ქართულ ტრადიციაში, ჩვენი აზრით, უნდა წარმოადგენდეს ღვინის სახლი - მარანი (შდრ. პალესტინაში ბეთსაიდას ანუ „თევზის“ ან „მეთევზეთა სახლს“, ან ბეთლემს - „პურის სახლს“), რომელშიც ევქარისტიული ღვთისმსახურება მიიკვლევა.

ევქარისტიული ღვთისმსახურება ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში სხვადასხვა სახელით აღინიშნებოდა: *kupiakov δεπνον* (ღვთის სერობა), *κλῆσις τοῦ ἁγίου* (პურის განტეხვა), *προσφορᾶ* (ძღვენი), *ἐπικλησις* (მოწვევა, მოხმობა), *Coena* (სერობა), *Coena Dominica* (ღვთის სერობა), *Mensa Domini* (ტრაპეზი ღვთისა), *oblatio* (შესაწირავი ძღვენი), *fractio* (განტეხვა) *liturgia* (ბერძ. საერთო საქმე), *anaphora* (ბერძ. ზევით შესაწირი, ან ზევით აწევით შეწირვა), *agape* (ბერძ. სიყვარული), *synaxis* (ბერძ. შეკრება) და ა.შ. (Архимандрит Киприан (Керн), 1999, 27).

ამ თვალსაზრისით არც ქართული ტრადიციაა გამონაკლისი, რომელშიც მის განსხვავებულ სახელებს „ღვთის სერობა“, „სერობა“, „პურის განტეხვა“, „ალაპი“, „ზედაშე“ და სხვა უნდა წარმოადგენდეს. ამათგან ყველაზე გავრცელებული „ზედაშე“ ჩანს, რომელიც (რამდენადაც ის შესაწირავის განაწილებას, ზიარებას და სადიდებელს შეიცავს), ჩვენი აზრით, ბერძნული *anaphora*-ს ქართული შესატყვისი უნდა იყოს.

როგორც აღინიშნა, ევქარისტიული რიტუალი, რომელიც ქართულ ტრადიციაში „საზედაშე“/„ზედაშეს“ რიტუალის სახელითაა ცნობილი, მარანთანაა დაკავშირებული.

მარანს სხვადასხვა დროს სხვადასხვა დარგის სპეციალისტები (ეთნოლოგები, ენათმეცნიერები, ხელოვნებათმცოდნეები, ისტორიკოსები და სხვ.) იკვლევდნენ.

ეთნოლოგები ქართულ ყოფაში განასხვავებდნენ ორი ტიპის მარანს: *ლიას* - ღია ცის ქვეშ ჩაყრილი ქვევრების სახით, რომელიც ხეებით ან ღობითაა შემოზღუდული; დასავლეთ საქართველოში იგი რამოდენიმე სახელით (*ჭურის თავი*, ან *ოლაგვანე*, ან *მარანი* და სხვ.) გვხვდება (იხ. საკითხთან დაკავშირებით ნ. თოფურია, 1968, გვ. 29-34).

დახურული ტიპის მარანი დასავლეთ საქართველოში ხის ნაგებობითაა წარმოდგენილი, აღმოსავლეთ საქართველოში კი - ქვის. ამ ორ ტიპს ზოგიერთი მკვლევარი (ლ. სუმბაძე, 1968) მესამე ტიპსაც ამატებს, რომელიც საცხოვრებელ სახლშია მოთავსებული.

მარანი სპეციალურ ლიტერატურაში (იხ. ლ. ჭყონია, 1988, იქვე ლიტერატურა) ზოგადად ქართულ ტერმინადაა მიჩნეული. პირველად მისი ხმარება მიიკვლევა VIII-IX საუკუნეების სვანურ ხელნაწერებში (ა. ჩიქობავა). ძველ წერილობით წყაროებში მარანის პარალელურად (და ეს მნიშვნელოვანია - ნ.ა.) დასტურდება "საღვინე სახლის" ხმარება. ლექსიკოგრაფების მიერ მარანი განიმარტება, როგორც "საღვინე სახლი" ან "ღვინის შესანახი სახლი" (სულხან-საბა ორბელიანი, დ. ჩუბინიშვილი, შესაბამისად).

წერილობითი წყაროების შედარებისას ზოგი მკვლევარი ვარაუდობს, რომ ტერმინი *მარანი* საქართველოში უნდა გაჩენილიყო არა უადრეს IV საუკუნისა და არა უგვიანეს VIII საუკუნისა (იხ. ლ. ჭყონია, 1988, იქვე საკითხთან განხილული ლიტერატურა).

გავრცელებული შეხედულების მიხედვით, "*მარანის*" ფუძეს მარ წარმოადგენს, რომელშიც სხვადასხვა დროის ავტორი სხვადასხვა მნიშვნელობას მიაკვლევდა. მაგ.: *მარი* იგივე *ხოისი* საწყაო (სულხან-საბა ორბელიანი) ან მთლიანი ხისაგან გამოთლილი ჭურჭელია, რომელშიც გარდაცვლილს კრძალავდნენ (ს. მენთეშაშვილი); სხვა შეხედულებით თიხის საწყაოა, რომელიც ზოგჯერ მიცვალებულის დასაკრძალავ ჭურჭლად გამოიყენებოდა; *მარი* იგივე სამარხია, სადაც ქვევრს ფლავენ (ნ. ბერძენიშვილი), შემდეგ ის დაუკავშირეს "*მარხვას*" (შენახვის, დაფლვის მნიშვნელობით - ივ. ჯავახიშვილი, ლ. ჩუბინაშვილი), ამ აზრის განვითარებას უნდა წარმოადგენდეს მოსაზრება, რომლის მიხედვით, *მარხვა*, *სამარხი* წარმოდგარა *მარი*-დან ხმარებაში იმ დროს უნდა შემოსულიყო, როდესაც მიცვალებულის იზოლირება უნდა დამკვიდრებულიყო წესად მათი ჩასვენებით რაიმე ჭურჭელში, რომელიც შეიძლება დამზადებულიყო ქვისაგან, თიხისაგან, ხისაგან (ს. მენთაშვილი, 1944); არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, მიცვალებულის ქვევრში დაკრძალვა შეწყდა II-III საუკუნეებში, აქედან მოყოლებული ქვევრი ძირითადად გამოიყენებოდა მეღვინეობაში; შესაბამისად, *მარის* იგივე *ქვევრის* ჩამარხვის ადგილს ეწოდა მარანი (ა. ბოხოჩაძე, 1963, გვ. 156; ლ. ჭყონია, 1988).

საინტერესოა, რომ სომხურში მარანი ღვინისა და საკვები პროდუქტების შესახებ ადგილად ითვლება, ხოლო თვითონ სიტყვა *მარანი* კი სირიულიდან შესულად (Р. Ачарян, 1977).

ქართული მარანი შეისწავლება, აგრეთვე, როგორც ხუროთმოძღვრული ობიექტი. ითვლება, რომ ის, როგორც ასეთი, უნდა ჩასახულიყო და განვითარებულიყო ქართლ-კახეთში (პირველად ისინი ამ თვალსაზრისით შეისწავლეს პ. ზაქარაიამ, ლ. რჩელიშვილმა, შემდგომ ლ. სუმბაძემ).

გამახვილებულია ყურადღება მარნის მთავარი ფასადის გადაწყვეტაზე, კერძოდ, კარის ღერძზე მის მაღლა ხშირად „ჩაჭდულ“ მაღალ ჭვარზე სამსაფეხუროვან კვარცხლბეკზე. ფასადის ამგვარი გადაწყვეტა აგურში გამოყვანილი დეკორატიული ელემენტებით დამახასიათებლად ითვლება XVIII საუკუნის მონუმენტური ხუროთმოძღვრების ძეგლებისათვის, რამდენადაც აგურის წყობაში ამოყვანილი ჭვრები მრავლადაა ამ დროის მცირე ეკლესიებში და სხვ. (იხ. ლ. სუმბაძე, 1968).

შემონახული მარნები, რომელთა ხნოვანება, სპეციალისტების აზრით, ორას წელს არ უნდა სცილდებოდეს, მათივე აზრით, იმეორებს არქიტექტურული მხატვრული გადაწყვეტის უძველეს ტრადიციებს (ლ. სუმბაძე, 1968).

მსგავსება ეკლესიასთან შემთხვევითი რომ არ არის, ამაზე ნ. თოფჩურიას (1967) მიერ სამეგრელოში დადასტურებული მარნის პარალელური ტერმინები - *საჯვარე* ან *ოხვამერი*-ც (სალოცავი) მიგვანიშნებს. ასევე ჩანს ეს მოსახლეობის დამოკიდებულებაშიც, რომელთათვისაც, მათივე სიტყვებით რომ ვთქვათ, მარანი ისეთივე წმინდაა, როგორც ეკლესია. ის ღმერთის ჭენის ადგილად ითვლება და, როგორც ასეთზე, სწორედ ამიტომაც მასზედ დატანებული ღვთის მყოფობის ნიშანი - ჭვარი (იხ. ნ. აბაქელია, 2000), ქრისტიანულ საიდუმლოებათაგან მასში სამი დიდი საიდუმლო სრულდება: ჭვრისწერა, რომელიც სამეგრელოში აღწერილი აქვს XVII საუკუნის იტალიელ მისიონერს არქანჯელო ლამბერტის (1938), ბავშვის ნათლობა და აღდგომის ევქარისტიული ლოცვა *ანაფორა*, იგივე საზედაშე ლოცვა, რომელზეც აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ და შემოვიფარგლებით ნაშრომის მითითებით (ნ. აბაქელია, 1999, №1).

ევქარისტიულ ღვთისმსახურებაში, ლოცვის დროს, უდიდესი მნიშვნელობა აქვს *ეპიკლესისს*, მოწვევას, ღვთის მოხმობას, რომელიც ორ სფეროსთან ამყარებს კავშირს: საკულტო სფეროსთან, რომელიც არის „აქ“ და ღვთაებრივ სფეროსთან, რომელიც არის „იქ“.

არამეული სიტყვებისაგან - *„მარან ათა“* - შემდგარი რეფრენი უძველეს ევქარისტიული ლოცვის ფორმულაში, რაც „უფალო ჩვენო, მოდი“-ს ნიშნავს და ბიბლიის საბოლოო ლოცვაში გვხვდება, შესაძლებელია, ხსნიდეს ღვინის სახლის - მარან-ის ენიგმატურ სახელწოდებას, რომელსაც, დროთა ვითარებაში, შესაძლოა, გაუგებარი „ათა“ ჩამოშორებოდა და ადგილობრივ ყაიდაზე გადაყვანილი ფორმა მიგვეღო. ამ შემთხვევაში სახელწოდება თავის თავში მოიცავს მარანში შესრულებული საკულტო

ქმედების აზრსა და არსს.

აღნიშნული სახელი შეიცავს ინფორმაციას მის მატარებელზე (სახელი კი, ასეთ შემთხვევაში, თავის თავში პრედიკატსაც მოიცავს). ლოცვის აღნიშნული რეფრენი ხსნის საკულტო ქმედების აზრს. მარანი - ღმერთთან შეხვედრის ადგილია, მისი რეპრიზენტატიული სადგომია. შესაბამისად, მარნის სიმბოლიზმი და ღმერთის ქრისტიანული კონცეფცია მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული და, გარკვეული აზრით, დევიზიცაა.

აღნიშნული კულტის ობიექტი ღვთაებრივი სუფევით ადგილობრივ განზომილებას შეესაბამება. იგი წარმოადგენს არა მარტო *anamnesis* (გახსენებას) საიდუმლო სერობისას, არამედ ღვთის მოხმობას და კონტაქტის მუდმივ განახლებას.

მარანში შესრულებული რიტუალის მითოლოგიზაცია მიიკვლევა ხალხური პოეზიის ზოგიერთ ნიმუშში, რომელიც, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, საკულტოა და აიხსნება საკრალურის პრინციპით.

ისინი შეიცავენ იმ ცოდნის შინაარსს, რომელიც გროვდებოდა, გადამუშავდებოდა და კოდიფიცირებას განიცდიდა ხალხურ ცნობიერებაში.

ამგვარი საკულტო პოეზიის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ნიმუშს წარმოადგენს ქართლ-კახურ სიმღერებში დადასტურებული:

“იაგუნდის მარანშია
შიგ ღვინო და ლალი ბჭვისო,
შიგ ალვის ხე ამოსულა,
ნორჩია და შტოსა შლისო,
ზედ ბუღბუღი შემომჭდარა,
გასაფრენად ფრთასა შლისო“.

უნდა აღინიშნოს, რომ ვ. ბარდაველიძემ პირველმა შეისწავლა მარანი, როგორც საკულტო ობიექტი და აღნიშნული ლექსი საგანგებოდ დეტალურად განიხილა. ჭურის თავთან და მარანთან დაკავშირებული ხის მითოლოგიური ხატება განსაზღვრა, როგორც სიცოცხლის ხის ერთ-ერთი ვარიანტი (იხ. В. Бардавелидзе, 1957).

აღნიშნული ლექსის შეკუმშული ფორმა საკრალურის ახსნა-განმარტებების პრინციპით, ცოდნის დღევანდელ საფეხურზე შემდეგ ინფორმაციას იძლევა:

ერთგვარი სულიერი ლანდშაფტი, რომელიც აღნიშნულ ლექსშია და ხატისათვის დამახასიათებელი სიმღორით გამოსჭვივის, არსებობის უფრო მაღალ სფეროს მიეკუთვნება, ვიდრე ადამიანთა ყოველდღიური ცხოვრება.

მარანი - გარედან საიმედოდ შემოფარგლული სხვადასხვა შემთხვევაში: ხეებით, ღობით, ან შენობით, საკრალური ტერიტორიაა, რომელშიც ღვთაებრივი ძალა სუფევს. მოკლედ რომ ვთქვათ, ამ იკონურ კონსტელაციაში საკულტო ქვევრი ღვთის სუფევის ხილული ნიშანია მარანში. მისი შიგთავსის

იმპლიციტური თანმიმდევრობა შემდეგნაირია:

ა. წითელი ღვინო → ლალი („პატიოსანი ქვა“ შდრ. აპოკალიფტურ მინერალოგიის სიმბოლიზმთან) მსხვერპლი → ქრისტე.

ბ. ალვის ხე - ამ შემთხვევაში მამის პრინციპთანაა დაკავშირებული, ხოლო შტო - ძესთან.

გ. ხოლო ბუღბუღი (ზოგჯერ იადონი) - სულიწმიდის ადგილობრივი გამოვლინებაა.

ზემოთ თქმული საშუალებას იძლევა ვივარაუდოთ, რომ საქმე შეიძლება გვექონდეს სამების ალეგორიულ პრეფიგურაციასთან. აღნიშნული საკულტო ლექსი ავსებს იმ სპეციფიკურ საკულტო-რიტუალურ კომპლექსს რწმენა-წარმოდგენებისას, რომელიც მარანში სრულდებოდა.

ამგვარად, ქრისტეს, თვით „სიცოცხლის პურს“ (ი. 6.33), ჩამოსულის ცათაგან და შობილს ქალაქ ბეთლემში ანუ „პურის სახლში“, რომელთანაც პურისა და ღვინის ახალი მისტერიის დამკვიდრება ასოცირდება, საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების ადრეული პერიოდიდან, როგორც ჩანს, თავიდანაა სცემდნენ ღვინის სახლში - მარანში, რომელიც დროთა განმავლობაში მდგრად ტრადიციულ ნორმად ქცეულა.

მარანი, ადგილობრივი განზომილებით, გარდა ღვინის შესანახი სახლისა, „გარღვევის ადგილია“, საიდანაც და რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი ხდება ჟამიდან ჟუჟამობაში გადასვლა.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. ნ. აბაქელია, 1999 - ნ. აბაქელია, ზოგიერთი ადრექრისტიანული ელემენტი ქართულ ტრადიციაში, *ანალები*, №3, თბ., 1999;
2. ნ. აბაქელია, 2000 - ნ. აბაქელია, „ღვთის კარის“ სიმბოლიკის ადგილობრივი განზომილებისათვის ქართულ ორთოდოქსალურ ქრისტიანულ ტრადიციაში, *ქრისტიანობა: წარსული, აწმყო, მომავალი* (საერთაშორისო სიმპოზიუმი - 2000 წ. 11-17 ოქტომბერი), მოხსენებათა მოკლე შინაარსები, თბ., 2000;
3. ა. ბოხოჩაძე, 1963 - ა. ბოხოჩაძე, მევენახეობა ძველ საქართველოში, თბ., 1963;
4. ნ. თოფურია, 1963 - ნ. თოფურია, ღვინის ზედაშეები, მსე XII-XIII, თბ., 1963;
5. ნ. თოფურია, 1968 - ნ. თოფურია, ქართული მარანი, *ძეგლის მეგობარი*, №16, თბ., 1968;
6. ლამბერტი არქანჯელო, 1938 - ლამბერტი არქანჯელო, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1938;
7. ლ. სუმბაძე, 1968 - ლ. სუმბაძე, ქართული მარნის ხუროთმოძღვრება, *ძეგლის მეგობარი*, №16, თბ. 1968;
8. ლ. ჭყონია, 1988 - ლ. ჭყონია, მევენახეობა და მეღვინეობა აღმოსავლეთ

- საქართველოში (გარე კახეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით - საკანდიდატო დისერტაცია), თბ., 1988;
9. *Р. Ачарян 1977 - Р. Ачарян*, Этимологический коренной словарь армянского языка, 3, Ереван, 1977;
 10. *В. Бардавелидзе, 1957 - В. Бардавелидзе*, Древнейшие религиозные верования и графическое искусство грузинских племен, Тб., 1957;.
 11. *Киприан Архимандрит (Керн), 1999. - Киприан Архимандрит (Керн)*, Евхаристия, М. 1999.

NINO ABAKELIA

THE MYTHICO-RITUAL COMPLEX ASSOCIATED TO "THE HOUSE OF WINE" -

MARANI IN GEORGIAN TRADITION

The early Christian tradition of the divine worship at houses can be traced in Georgia in the custom of "breaking bread" over the sacred wine-vessel, dug deep into the ground on the right side of the special building for storing wine, called in Georgian – *maran-i*. The religious ritual performed there is considered to be analogous to the Greek *anaphora*.

In the term *maran-i* can be traced the Aramaic words *maran-atha* (i. e. the recurring words in the eucharistic prayer and the last words in the Bible – "Come Lord to us"), which in the course of time might lose the incomprehensible – *atha*, and could transform into quite local form – *maran-i*. In this case the name of the building implies in itself the essence and the meaning of the performed cult. The name also comprises the predicate. The refrain of the prayer explains the meaning of the cult acts.

Thus, *maran-i* is the meeting-place with the Lord; it is His representative place. Consequently the symbolic of *marani* and the concept of the Christian God are closely connected to each other.

The cult act in *marani* is considered to be not only the *anamnesis* (remembrance) of the Last Supper, but as well the *epiklēsis* (invocation) of the Lord and the constant revival of the contacts with Him.

Thus, Christ, "the bread of God" himself, "which comes down from Heaven", and is born in Bethlehem (i. e. in the House of Bread) has been worshipped in Georgia from the Early Christian period in the house of Wine - *marani* -, which in the course of time has transformed into the traditional norm and still continues its life alongside the Church.